



საქართველოს განათლების,  
მეცნიერების, კულტურისა და  
სპორტის სამინისტრო

**საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტისა და  
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთობლივი საჯარო  
კონსულტაციის ოქმი**

**ოქმი №6**

**2 აგვისტო, 2018 წ.**

**იმერეთის რეგიონი**

მის: ქ. ქუთაისი, ტიცვან ტაბიძის №21

ა.კ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი საბიბლიოთეკო კორპუსის  
სამკითხველო დარბაზი

**შეხვედრას ესწრებოდნენ:** იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები სპორტის დარგში, რეგიონალური სპორტული ორგანიზაციების, კლუბების, ასოციაციების, კავშირების წარმომადგენლები, მწვრთნელები, სპორტსმენები, საჯარო სკოლები ( დირექტორები და ფიზიკური აღზრდის პედაგოგები), საბავშვო ბალები, სტუდენტური თვითმმართველობების ადგილობრივი რესურსცენტრების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი მედია და სხვა დაინტერესებული პირები;  
*(სულ 105 მონაწილე)*

**დღის წესრიგი:**

**შეხვედრის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს:**

*გიორგი ჭიღვარიამ - ქ. ქუთაისის მერი,*

*გიორგი ლავთაძემ - ქ. ქუთაისის ა.კ. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;*

*ირაკლი დოლაბერიძემ - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსი;*

შეხვედრის მეორე ნაწილი დაეთმო მონაწილეებისთვის „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისა და „მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების გაცნობას და დისკუსიას.

**საჯარო დისკუსია:**

შეხვედრაზე იმერეთის რეგიონის 12-ვე მუნიციპალიტეტის სახელით წერილობით იქნა წარმოდგენილი შენიშვნები და წინადადებები (იხ. <http://shorturl.at/bXZ79>).

### **განხილვის მონაწილეებმა გამოთქვეს შემდეგი შინაარსის წინადადებები:**

- საჭიროა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში განისაზღვროს მუნიციპალიტეტების ვალდებულება - ხელი შეუწყონ ადგილზე სპორტის განვითარებას;
- სკოლამდელ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილის ჩატარების ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს კვირაში არანაკლებ 5 საათით;
- დაწესდეს შეღავათები წარმატებულ სპორტსმენებზე, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლობენ;
- მწვრთნელებს მიენიჭოთ პედაგოგის სტატუსი;
- კანონით განისაზღვროს სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში სპორტული ინფრასტრუქტურის არსებობის ვალდებულება;

### **შეხვედრაში მონაწილე პირებმა ასევე დასვეს შემდეგი საკითხები:**

- საგანმანათლებლო რესურსცენტრებში უნდა არსებობდეს სპორტის სპეციალისტის სამტატო ერთეული, რომელიც მონიტორინგს გაუწევს სკოლებში ფიზიკური აღზრდის პროცესს;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნდა შეიქმნას საკმარისი სპორტული ინფრასტრუქტურა და განხორციელდეს არსებულის რეაბილიტაცია;
- გამარტივებული პირობები სპორტული ინვენტარის და მომსახურეობის შექმნასთან დაკავშირებით.

### **შეხვედრის შეჯამება**

შეხვედრის მონაწილეებს განემარტათ, რომ დამატებითი შენიშვნები და წინადადებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, გამოგზავნონ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.